შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№34 (9.795)
2 – 9 სექტემბერი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გამგებელმა ახალი ატრაქციონები დაათვალიერა

გ3.3

ცხოვრების გზაზე ბევრი ღირსეული პედაგოგი მყავდა...

გ3.5



საშიში ინფექცია – კოკსაკის ვირუსი

გ3.7

ქართული ენა აიკრძალა!

გ3.3

წინაალმდეგობა – ბენზოხერხით

გ3.7

ეს ჩვენთვის დიდი გამოცდილება იყო...

გ3.4

დედოფლისწყაროში მიწისძვრა მოხდა



გ3.2

C M Y K

პრემიერ-მინისტრი საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედებიდან 3 წლის შესრულებას ულოცავს

პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს ულოცავს ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედებიდან 3 წლის შესრულებას, რომლის განმავლობაში ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა.

ძალიან მნიშვნელოვანი 3 წელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში - ასე შეაფასა მთავრობის მეთაურმა გასული პერიოდი დღეს, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიების ერთობლივ სხდომაზე.

„რეფორმები, რომლებიც ამ სამ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში გატარდა, თითქმის ყველა სფეროს ეხება და უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენთვის ნომერ პირველი პრიორიტეტია ამ მიმართულებით თანმიმდევრული სვლა, რათა ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახის ნამდვილ წევრად ვაქციოთ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ევროკავშირსა და ნატო-სთან დაახლოების თვალსაზრისით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები ძალისხმევას არ იშურებენ, რათა მიღწეული იყოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანი - ევროკავშირსა და ნატო-ში საბოლოო გაწევრიანება.

„ყველა უწყება ჩართულია ამ ინტეგრაციის პროცესში. სწორედ ამიტომ გვაქვს ასეთი დონის სახელმწიფო კომისია, რათა ჩვენი ნაბიჯები შევაფასოთ, მოვახდინოთ იმ სფეროებისა და მიმართულებების იდენტიფიცირება, სადაც მეტი გვაქვს გასაკეთებელი და ერთობლივად გავწიოთ მაქსიმალური ძალისხმევა, რათა ჩვენი ქვეყანა იყოს მართლაც ჩემპიონი რეფორმების მიმართულებით“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიების ერთობლივ სხდომაზე, ვიცე პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ისაუბრა ნოემბერში დაგეგმილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისთვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ; ასევე, სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ

სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ვიქტორ დოლიძემ წარადგინა ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

ქართველმა კალათბურთელებმა ლიტვასთან გამარჯვებით დაიწყეს ევროპის ჩემპიონატი

საქართველოს კალათბურთელებმა წარმატებით აიღეს სტარტი დღეს დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე. ტელ-ავივში, „ევრობასკეტ-2017“-ის პირველ შეხვედრაში, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტს, ლიტვის ნაკრებს - 79:77. 29 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე იყო თორნიკე შენგელია. „B“ ჯგუფის მეორე შეხვედრაში გერმანიამ დაამარცხა უკრაინა - 75:63. ამავე ჯგუფში ასპარეზობენ იტალიისა და ისრაელის ნაკრები გუნდები. „ევრობასკეტ-2017“-ს ერთბაშად ოთხი ქვეყანა მასპინძლობს: ისრაელი, ფინეთი, რუმინეთი და თურქეთი.

საქართველოს მთავრობამ მოსამართლეების ორი ახალი კანდიდატი შეარჩია სტრასბურგის სასამართლოსთვის

საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოში ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე ორი ახალი კანდიდატი შეარჩია. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ლალი ფაფიაშვილისა და ოთარ სიჭინავას კანდიდატურებს საქართველოს მთავრობა ევროპის საბჭოს 31 აგვისტოს წარუდგენს. როგორც განკარგულების ტექსტშია მითითებული, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა არა მხოლოდ სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის წარდგინება და კომისიის მუშაობის შედეგები, არამედ ასევე მხედველობაში მიიღო ევროპის საბჭოს ექსპერტ მრჩეველთა კოლეგიის 2017 წლის 21 ივლისის წერილი, რომელშიც ექსპერტები კანდიდატის დადებით მხარედ ასახელებდნენ უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის გამოცდილებას.

ცესკო-ს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და 10 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და 10 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები საარჩევნო კოდექსში 45-ე, 48-ე, 49-ე მუხლების ერთგვაროვან განმარტებაზე თანხმდებიან.

მემორანდუმზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო საქმის წარმოების დროს მემორანდუმში მითითებული განმარტებებით იხელმძღვანელებენ.

როგორც ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ განმარტა, მსგავსი შეთანხმება წინა წლებშიც გაფორმდა და მან კარგი შედეგი აჩვენა.

„ხელი მოვაწერეთ ძალიან მნიშვნელოვან მემორანდუმს - ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების პრევენციის მიზნით შეთანხმებას, რომელიც უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. ამან წლების განმავლობაში თავისი შედეგი გამოიღო და შემცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები“, - განაცხადა თამარ ჟვანიამ.

მემორანდუმზე ხელმოწერა და ამით მის პრინციპებთან მიერთება შეუძლია პარტიებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, რომლებიც იზიარებენ მემორანდუმის მუხლებში მითითებულ განმარტებებს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საარჩევნო ადმინისტრაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრების საფუძველზე საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შემუშავდა. IFES-ი მსგავსი მემორანდუმის გაფორმებას უკვე ბოლო რამდენიმე საარჩევნო ციკლია უწევს ფასილიტაციას, რაც საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

დედოფლისწყაროში მიწისძვრა მოხდა, სიმძლავრემ 3,8 მაგნიტუდა შეადგინა

კახეთში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 1 სექტემბერს მიწისძვრა მოხდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმური მონიტორინგის ცენტრის მონაცემებით, 3.8 მაგნიტუდის სიმძლავრის ბიძგების ეპიცენტრი ქალაქ დედოფლისწყაროდან 20 კილომეტრში იყო.

მიწისძვრა საქართველოს დროით 10:36 საათზე მოხდა. მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდაკახეთის სხვა რაიონებშიც.

არსებული ინფორმაციით, მიწისძვრას ნგრევა არ გამოუწვევია.

ბირთვული რაკეტის საბრძოლო გასროლა იაპონიისკენ – ჩრდილოეთ კორეის შემდეგი სამიზნე,შესაძლოა, გუამი იყოს

აშშ სერიოზულ ნაბიჯებს დგამს ჩრდილოეთ კორეის საკითხზე და კრიზისის დარეგულირებასთან დაკავშირებით სამხედრო ვარიანტს არ გამორიცხავს. ანალიტიკოსების შეფასებით, თუკი გუამის მიმართულებით განხორციელდება იმიტირებული დარტყმა, ეს იქნება აშშ-ის წინააღმდეგ წითელი ხაზების გადალახვა უკვე მეორედ და სავარაუდოდ, ტრამპი გასცემს ბრძანებას, რომ მოახდინოს პრევენციული დარტყმები ჩრდილოეთ კორეის ობიექტების მიმართულებით. როგორც თეთრი სახლის პრესმდივანმა სარა სანდერსმა განაცხადა, სამხედრო გადაწყვეტილება შესაძლებელია და დონალდ ტრამპი ქმედებების სხვადასხვა ვარიანტს განიხილავს. აღნიშნული განცხადება თეთრი სახლის პრესმდივანმა მას შემდეგ გააკეთა, რაც 29 აგვისტოს ჩრდილოეთმა კორეამ ბალისტიკური რაკეტის მორიგი გამოცდა განახორციელა. რაკეტამ იაპონიას გადაუფრინა და წყნარ ოკეანეში ჩავარდა.

მიუხედავად მოწოდებებისა, ჩრდილოეთი კორეა კვლავ რაკეტების გაშვებით იმუქრება. ოფიციალური ფხენიანის განცხადებით, რაკეტის გამოცდა გუამის შეკავების ოპერაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ჩრდილოეთი კორეა ირწმუნება, რომ გამოცდა მიმართული იყო რეგიონში ამერიკელების მონაწილეობით მიმდინარე სამხედრო სწავლებების წინააღმდეგ. გაერო-ს უშიშროების საბჭომ ფხენიანის ქმედებებს აღმაშფოთებელი უწოდა და სარაკეტო გამოცდების შეწყვეტისკენ მოუწოდა. ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ, დიდი ალბათობით, კიმ ჩენ ინი ამას კიდევ განახორციელებს, რადგან მან უკვე გადალახა წითელი ხაზი, შესაბამისად, ჩრდილოეთი კორეა და აშშ ახლა უკვე მზად არიან, რომ საომარ ვითარებაში შეერკინონ. “ჩრდილოეთმა კორეამ, ფაქტობრივად, იმიტაციური ბირთვული დარტყმა განახორციელა იაპონიაზე. ბალისტიკურმა რაკეტამ გადაუფრინა იაპონიის სუვერენულ საჰაერო სივრცეს და ის წარმატებული აღმოჩნდა. ამით გამოიცადა აშშ-ისა და იაპონიის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, რამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა. იმიტომ, რომ არც სახმელეთო და არც საზღვაო რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებმა არაფერი გააკეთეს, მათ ვერ მოახდინეს რაკეტის თუნდაც დაზიანება”, - აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მაისაიას თქმით, ბირთვული რაკეტის გაშვება არ იყო ტესტური, ეს იყო საბრძოლო მდგომარეობაში განხორციელებული გასროლა, რაც წინა 13 შემთხვევისგან განსხვავდება. უბრალოდ, ამან ამჯერად განახორციელა იმიტაციით, რაკეტა დაიშალა 4 ნაწილად, რაც ნიშნავს, რომ გასროლა წარმატებული იყო. სწორედ ამიტომაც იყო, რომ უშიშროების საბჭო შეიკრიბა რიგგარეშე, იაპონიის თავდაცის სამინისტრომ გამოხატა დიდი შეშფოთება და სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრი მაშინვე პენტაგონში გაემგზავრა”, - ამბობს ვახტანგ მაისაია და აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კორეის კრიზისთან დაკავშირებით გაერო ფაქტობროვად უმოქმედოა. ეს დამტკიცდა ბოლო რეზოლუციით. ჩრდილოეთ კორეაზე უკვე არ მოქმედებს ის სანქციები, რაც დაწესებულია უშიშროების საბჭოს მიერ. მისი მუდმივი წევრების მხრიდან პოზიციები არ არის ბოლომდე შეთანხმებული. შესაბამისად, ისინი ვერ თანხმდებიან, თუ როგორ უნდა მოუაროან კიმ ჩენ ინს. ის ამას გრძნობს და კიდევ უფრო მეტად თავხედობს.

ანალიტიკოსის თქმით, დაახლოებით, 60%-ანი გარანტიით შემიძლია გითხრათ, რომ შემდეგ დარტყმას სწორედ ანალოგიური პრინციპით განახორციელებს გუამის მიმართულებით. შეიძლება, გუამიდან დაახლოებით, 500-1 000 კილომეტრში მოხდეს რაკეტის ჩამოვარდნა ან საერთოდან მას გადაუფრინოს. ეს უკვე იქნება დარტყმა ამერიკის წინააღმდეგ. კიმ ჩენ ინი იმდენად არ გათავხედდება, რომ პირდაპირ მიაყენოს სარაკეტო დარტყმა გუამს და იქ განლაგებულ სამხედრო ბაზებს, მაგრამ მისი მიმართულებით რომ განხორციელდება დარტყმა, ეს სრულიად მოსალოდნელია”, - აღნიშნავს ანალიტიკოსი. ვახტანგ მაისაია ვარაუდობს, რომ ჩრდილეოთ კორეის მხრიდან შემდეგ მოქმედებას აშშ უკვე შესაბამისად უპასუხებს. ტრამპის ადმინისტრაცია გახდა ძალიან მილიტარიზირებული. ეს კარგად გამოჩნდა ავღანეთის, ასევე, ირანის მიმართულებითაც, სადაც ტრამპმა დაიწყო საკმაოდ აგრესიული სამხედრო სტრატეგიის განხორციელება და ამის რეალური წარმოჩენა უკვე ოქტომბერში იქნება. აშშ-ის ყველა საკვანძო თანამდებობას სამხედროები იკავებენ, რადგან მთავარ დასაყრდენ ძალად ტრამპმა სამხედრო დაჯგუფების წარმომადგენლები აირჩია. შესაბამისად, სამხედროების პოზიცია იქნება უფრო ხისტი და უკიდურესად აგრესიული, რაც ტრამპისგანაც მომდინარეობს, როგორც ყოფილი სამხედროსგან და ეს მისი სტილია. თუკი გუამის მიმართულებით განხორციელდება იმიტირებული დარტყმა, ეს იქნება წითელი ხაზების გადალახვა უკვე მეორედ აშშ-ის წინააღმდეგ და ალბათ, ტრამპი გასცემს ბრძანებას, რომ მოახდინოს პრევენციული დარტყმები ჩრდილოეთ კორეის ობიექტების მიმართულებით.

გამგებელმა ახალი ატრაქციონები დაათვალიერა

30 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან დავით ფხოველიშვილთან ერთად, ე.წ. მიკრო რაიონის ეზოში დამონტაჟებული ბავშვთა გასართობი ატრაქციონები მოინახულა. ატრაქციონები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და 46 487 ლარი დაჯდა. აჟრიამულებული ბავშვები მხიარულად ერთობიან ახალგაკეთებულ ატრაქციონებზე. პატარების გარდა კმაყოფილებას გამოთქვამენ მათი მშობლებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ატრაქციონების დამონტაჟებით ბავშვების თავისუფალი დროის გატარების პრობლემა მოიხსნა. „ზაფხულობით ეზოში მცხოვრები ბავშვების გარდა, ჩვენს კორპუსებს უამრავი ნორჩი სტუმარი ეწვევა ხოლმე. ამიტომ გვიხარია, რომ პატარებს სხვადასხვა ადგილას აღარ უწევთ სიარული სათამაშო ადგილის საძებნელად. გასართობ ატრაქციონებზე ისე კარგად ერთობიან, რომ სახლში წამოსვლა ღამითაც აღარც უნდათ“-ამბობენ მშობლები.

„მიხარია, რომ აღნიშნული საბავშვო გასართობი ატრაქციონების გაკეთებით ეს ეზო გამოცოცხლდა. ჩვენი მოვალეობა ისაა, რომ უკეთესი მომავალი შევუქმნათ მომავალ თაობას“ - განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ქართული ენა აიკრძალა!

ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსწავლეებისთვის სასწავლო წელი ორშაბათს, 4 სექტემბერს იწყება და, სეპარატისტული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, გალის ქართული სკოლების შემდეგ, მშობლიურ ენაზე სწავლება ახალგორში დარჩენილ 8 ქართულ სკოლაშიც ეკრძალებათ ქართველ მოსწავლეებს. სკოლების გარდა, ქართულ ენას სეპარატისტები ბაგა-ბაღებშიც ებრძვიან და ბავშვებისთვის ქართულად ლაპარაკი სკოლამდეც არ არის ნებადართული. აფხაზეთისა და წელს პლუს "სამხრეთ ოსეთის" დე ფაქტო ხელისუფლებების გადაწყვეტილებით, ქართველი ბავშვები განათლებას მხოლოდ რუსულ ენაზე მიიღებენ რუსეთში დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით და თან, ამ წიგნების შეძენა მშობლებს თავად მოუწევთ. 2017 წლის 4 სექტემბრიდან ახალგორის სკოლების პირველ კლასში მისულ ბავშვებს ქართული "დედაენის" ნაცვლად რუსული ანბანი დახვდებათ. თანაც, სეპარატისტებმა არა მარტო პირველი კლასის ბავშვებს აუკრძალეს მშობლიურ ენაზე სწავლა, არამედ ერთი ხელის მოსმით გაუქმეს ქართულად სწავლება 1-დან მე-4 კლასის ჩათვლით, რაც ქართველ ბავშვებს დიდ პრობლემებს უქმნით რუსული ენის არცოდნის გამო. პარალელურად, ქართული ენა დარჩება მხოლოდ რიგით საგნად და მას კვირაში თითო-თითო საათი დაეთმობა - ერთი საათი - ქართულ ენას და ერთი - ლიტერატურას. ასე, ერთი ხელის მოსმით, მშობლიურ ენაზე სწავლა სეპარატისტულმა რეჟიმმა ჯერ აფხაზეთში გააუქმა, წელს კი ქართველი მოსწავლეებისათვის ქართულად სწავლება ახალგორშიც იკრძალება.

აფხაზეთში 2014 წლამდე 11 ქართული სკოლა იყო დარჩენილი, ისიც გალის ე.წ. ქვედა ზონაში. 2014-2015 სასწავლო წელს კი ქართულად სწავლება 1-ლიდან მე-4 კლასის ჩათვლით აიკრძალა. წელს გალში 6 კლასის ჩათვლით სწავლება რუსულადაა, 5 წელიწადში კი მთელი ეს სკოლები სრულად რუსული გახდება. ჯერჯერობით ზედა კლასებში ყველა საგანი ქართულად ისწავლება, თუმცა აკრძალულია ქართულად დაბეჭდილი გეოგრაფია და ისტორია. ამ საგნებს სეპარატისტების მიერ შექმნილი რუსული წიგნებით ასწავლიდნენ. თუმცა, პედაგოგები მოსწავლეებს ჩუმად ქართულ გეოგრაფია-ისტორიას მაინც ასწავლიდნენ. გალისაგან განსხვავებით, ახალგორში მთელი ეს წლები ქართულ სკოლებს არავინ ეხებოდა. აკრძალვა ეხებოდა ქართულ ისტორიასა და გეოგრაფიას. წელს კი დე ფაქტო პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვის მიერ გაცემული დავალებით, ოკუპირებული გალის შემდეგ ახალგორშიც უქმდება ქართული სკოლები. უკვე გადაწყვეტილია, რომ 4 სექტემბრიდან ოკუპირებულ "სამხრეთ ოსეთში" არსებულ 8 ქართულ სკოლაში სწავლება რუსულად იქნება. მოსწავლეები რუსული სახელმძღვანელოებით ისწავლიან, ის ქართველი პედაგოგები, ვინც ე.წ. ატესტაციას თავის საგანში რუსულად ვერ ჩააბარებენ, სამსახურის გარეშე დარჩებიან და მათ ცხინვალიდან ოსი პედაგოგები შეცვლიან.

ახალგორის ქართული სკოლების დირექტორები და პედაგოგები ცხინვალში, დე ფაქტო განათლების სამინისტროში უკვე დაიბარეს, ასევე ჩატარდა პირველი "ატესტაციაც" და ახალგორელებისთვის სექტემბრიდან მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვაც უკვე ცნობილია. ქართული სწავლება იკრძალება ახალგორის რაიონში მოქმედ ექვს სკოლაში, ასევე - საჩხერის სოფელ სინაგურისა და ზნაურის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ თითო ქართულ სკოლაში, სადაც 1-ლიდან მე-4 კლასის მოსწავლეები ყველა საგანს რუსულად ისწავლიან. ე.წ. განათლების მინისტრის მოადგილე ელისო გაგლოევა აცხადებს, რომ "განათლების სამინისტრომ დაასრულა მოსამზადებელი სამუშაოები, ქართულ სკოლებში სწავლების რესპუბლიკის სტანდარტებზე გადასაყვანად" და ყველა ქართული სკოლა გადავა ამ ახალ სტანდარტზე, რაც ყველა საგნის რუსულად სწავლას გულისხმობს. ის ყველაზე დიდ პრობლემად ისტორიის სწავლებას ასახელებს. ამბობს, რომ ქართულ სკოლებში ისტორიას მათ საწინააღმდეგოდ, ტენდენციურად ასწავლიდნენ, ეს წიგნები რეალურად "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" წინააღმდეგ იყო, რის გამოც სახელმძღვანელოები სკოლებიდან გააძევეს. ახლა ჯერი მთლიანად ქართულ ენაზე სწავლაზეც მიდგა. საგულისხმოა ის, რომ ახალგორის ქართულ სკოლებში არც პედაგოგებმა და არც ქართველმა ბავშვებმა რუსული ენა არ იციან, ეს ცნობილია ე.წ. სამინისტროშიც, თუმცა, გაგლოევას თქმით, არც ოსმა ბავშვებმა იცოდნენ რუსული ენა, მაგრამ "ისინი მოდიან პირველ კლასში და სწავლობენ რუსულ ენაზე.

ე.წ. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ ქართველი პედაგოგებისთვის სავალდებულო ხდება რუსული ენის სრულყოფილად ფლობა, რადგან მათ საგნები რუსულად უნდა ასწავლონ. ამიტომ, ვინც ამ მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, ისინი სამსახურის გარეშე დარჩებიან. "სამხრეთ ოსეთის" ადმინისტრაციის განათლების სამსახურის უფროს სოსო ცოტნიაშვილის თქმით, მოსწავლეებმა რუსული არ იციან. ახალგორში კიდევ შეიძლება, რუსული ცოტათი იცოდნენ, ახალგორის სოფლებში კი ბავშვებმა რუსული სიტყვაც არ იციან და ძალიან გაუჭირდებათ. "პრაქტიკულად, წინა წლებში ქართულად სწავლებაში ხელის შეშლა არ ყოფილა. საოკუპაციო რეჟიმი მკაცრად მხოლოდ იმ საკითხს აყენებდა, რომ ჩვენთან 12-წლიანი სწავლაა, მათთან - 11-წლიანი და ამ 12-წლიან სწავლას არ უშვებდნენ, ეს კი მოსწავლეებს ხელს უშლიდათ, ქართული, ეროვნული სასწავლო გეგმა სრულყოფილად შეესრულებინათ. "თუმცა, ქართულ ენაზე თავისუფლად სწავლობდნენ. ცოტნიაშვილის თქმით, დე ფაქტო მინისტრის მოადგილემ ისინი გააფრთხილა, რომ სექტემბრიდან დაწყებით კლასებში რუსულ ენაზე იქნება სწავლა მთლიანად, მე-5 კლასის ზემოთ კი ეს ცვლილება არ შეეხებათ.

დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ რუსულენოვან სწავლებაზე გადასვლა ქართული სკოლების მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ჩააბარონ სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტში, ასევე რუსეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ახალგორის რაიონს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დე ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლება აკონტროლებს. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ახალგორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85% (6520 ადამიანი) ქართველები იყვნენ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მათმა ნაწილმა რაიონი დატოვა.

ეს ჩვენთვის დიდი გამოცდილება იყო...

2009 წლიდან ევროპის ფონდი აფინანსებს ისეთ მნიშვნელოვან და საინტერესო პროექტს, როგორიც არის „ახალგაზრდული იდეა“. ამ პროექტში დედოფლისწყაროს ახალგაზრდები დასაწყისიდანვე ჩაერთვნენ და ისინი ქვეყანაში 5 საუკეთესო გუნდს შორის მოიაზრებიან. ზოგადად კი, საქართველოში სულ 25 საინიციატივო ჯგუფია, მათ შორის 5 აფხაზეთის ტერიტორიაზეა. „ახალგაზრდული იდეა“, ძირითადად, მოზარდი თაობის - სასკოლო ასაკის ბავშვებზეა გათვლილი. თუმცა, მასში მონაწილეობა და პროექტების წარდგენა 21 წლამდე ყველა ახალგაზრდას შეუძლია. მუშაობის პრინციპი ასეთია: დგება საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მუნიციპალიტეტის, ამა თუ იმ სოფლის ან თემის საჭიროებიდან გამომდინარე საინტერესო პროექტების ფონდში წარდგენას. ფონდი განიხილავს და სწორად მიგნებული პროექტები ფინანსდება მაქსიმუმ 800 ლარის ოდენობით. შემდეგ ხდება გამარჯვებული პროექტის განხორციელების მონიტორინგი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საინიციატივო ჯგუფი ერთ-ერთი წარმატებული გუნდია, რომელსაც არსებობის 8 წლის მანძილზე მდიდარი გამოცდილებაც დაუგროვდა და ბევრი საჭირო და საინტერესო საქმეც გააკეთა. ჯგუფში 9 წევრია. მათი შემადგენლობა ყოველწლიურად განახლებადია, რადგან, ვინც სკოლას დაამთავრებს, ის ავტომატურად ეთიშება და მის ადგილზე ახალი წევრი აირჩევა. ჯგუფის შემადგენლობაში როგორც ქალაქის, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობენ. მაგალითად, მიმდინარე წელს ჯგუფის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ ქვემო ქედის, ზემო მაჩხაანის და სამრეკლოს სკოლის მოსწავლეები. ჯგუფის წევრები სისტემატურად გადიან ტრენინგებს, იღრმავებენ ცოდნის დონეს და აქტიურად ეხმარებიან მსურველებს პროექტების მომზადებაში. ყოველწლიურად შეირჩევა და ფინანსდება ხუთი პროექტი თითოეული საინიციატივო ჯგუფიდან.

სასწავლო წლის ბოლოს ჯამდება მუშაობის შედეგები და 5 საუკეთესო ჯგუფი ფინანსდება ევროპაში, რომელიმე მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, მოგზაურობით. მიმდინარე წელს ეს პატივი დედოფლისწყაროს გუნდსაც ერგო. გუნდიდან შეირჩა ორი წარმომადგენელი და მათ ბოსნიაში, კერძოდ მის დედაქალაქ სარაევოში ექვსდღიან ტურში მიიღეს მონაწილეობა. ქალაქ დედოფლისწყაროს **N2 საჯარო სკოლის მიმდინარე წლის კურსდამთავრებული** სოფიო ჯეთერიშვილი და **№1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე** ზურაბ გოგოშვილი არიან ამ ტურის მონაწილენი და სწორედ ისინი სტუმრობენ დღეს „შირაქის“ რედაქციას.

წელს სოფიო აბიტურიენტი გახლდათ და იგი უკვე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია.

- სოფიო, გილოცავთ სტუდენტობას. რატომ, მაინცდამაინც, ქართული ფილოლოგია?

- ეს გადაწყვეტილება მეშვიდე კლასში მივიღე და არ შემიცვლია აზრი. თუმცა, მომავალში სხვა იდეებიც მაქვს: მომწონს და მაინტერესებს ჟურნალისტიკა, ვფიქრობ, საბოლოო მიზანი ეს არის. მაღიზიანებს, სახელმწიფო მოხელეებისა და ჟურნალისტების დიდმა ნაწილმა გამართული ქართული რომ არ იცის – არ აქვს სიტყვათა მარაგი, არ იცის გრამატიკა და უპატიებელ შეცდომებს უშვებს წერასა თუ მეტყველებაში, ასევე, ძალიან მაინტერესებს ინკლუზიური სწავლება. მას ბევრი სირთულე ახლავს, რადგან განსხვავებულ, გამორჩეულ ბავშვებთან გიწევს ურთიერთობა, ისინი ინდივიდები არიან და თითოეული მათგანის სული სათითაოდ უნდა გახსნა, სწორედ ეს მიზიდავს. მიმაჩნია, რომ ადამიანმა ჯერ თავისი ენა უნდა იცოდეს კარგად და მერე უცხო ენებს ისე დაეუფლოს. კარგია, როცა ბევრი ენა იცი, ეს განვითარების დიდ შანსს იძლევა, მაგრამ ყველგან და ყოველთვის უნდა იყო ქართველი, პატივი სცე შენს ეროვნულობას, ისაუბრო ქართულად, თუნდაც დიდ შეხვედრებზე, თარჯიმანები რისთვის არსებობენ?! უცხო ენის ცოდნა კი დაგეხმარება იმაში, რომ აკონტროლო, როგორ თარგმნიან შენს ნათქვამს. მაგალითად, ექსპრეზიდენტი საკაშვილი ამაყობდა, რომ ბევრი ენა იცოდა და სადაც ჩავიდოდა, იმ ენაზე იწყებდა საუბარს. ჩემი აზრით, ეს საკუთარი თავის რეკლამა უფრო იყო, ვიდრე საქართველოს პირველი პირის პოზიცია. კარიერის რა დონესაც გინდა მივაღწიო, სულ ქართულად ვიმეტყველებ. მე მინდა, ვიცოდე ჩემი ქვეყნის შიგნით მოქმედი ყველა ენა- მეგრული, სვანური, კომპიუტერის მეშვეობით დავიწყე აფხაზური ენის შესწავლა. ძალიან რთული ენაა, 63 ბგერაა და უმრავლესობა ხახისმიერი, რაც რთული წარმოსათქმელია. ინგლისურსაც ვსწავლობ, მაგრამ მას თავისი ადგილი აქვს.

- სოფიო თავის თანატოლებში აქტიურობით, ინდივიდუალიზმით, კრეატიულობით, თავისუფლებისმოყვარეობით, არაორდინალურობით და პრინციპულობით გამოირჩევა. ეს ის თვისებებია, რომელიც ხშირად ქმნის დისკომფორტს საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

- სოფიო, კონფლიქტური ხარ?

- მე ამას კონფლიქტურობას ვერ დავარქმევ. უბრალოდ, მე არ მეშინია, თამამად გამოვთქვა ჩემი აზრი ხმამაღლა, ერთგვარად ტაბუდადებულ თემებზეც კი, რაც წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრთან და, რადგან მიწევს ჩემი აზრის სისწორის მტკიცება, კონფლიქტიც აქედან წარმოიშვება. თუმცა, ხანდახან ისეთი ელემენტარული საკითხიც გახდება ხოლმე კამათის საგანი, როგორიც, მაგალითად, ქალაქის სისუთავის დაცვაა. ორ ნაბიჯზე რომ ურნა იდგეს, კანფეტის ან ნაყინის ქაღალდს ისე დააგდებენ ქუჩაში, თითქოს ეს ქუჩა მისი კი არა, მხოლოდ ვიღაც სხვებისაა. ასეთ რამეზე თვალს ვერ ვხუჭავ, შენიშვნას ვიძლევი და თუ ვერ ვიმორჩილებ დამნაშავეს, მის თვალწინ თავად ვიღებ ნაგავს. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: მე და ჩემმა მეგობარმა ვნახეთ, ძროხები როგორ ბალახობდნენ და აბინძურებდნენ ქალაქის ცენტრალურ სკვერს. უკვე გვიანი იყო და გამგეობაში მოსულებმა შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები ვერ ვნახეთ. დაცვის თანამშრომლებმა კი მირჩიეს, პოლიციისთვის მიგვემართა. ჩემი მეგობარი შეშფოთდა, პოლიციის შენობაში ვერ შემოვალ, მამამ რომ გაიგოს, გამიბრაზდებაო. არ მესმის, პოლიციაში მისვლა სასირცხვილო რატომ არის?! ისინი ხომ სწორედ ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად არიან. მე, პირადად, ძალიან ვაფასებ პოლიციის საქმიანობას, თუ, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერად ასრულებს ის თავის მოვალეობას. ასე რომ, მარტო მივედი პოლიციაში. მომისმინეს, დამეთანხმნენ. მერე იმ ძროხების პატრონი იპოვეს, დააჯარიმეს და გააფრთხილეს. მე კი უმრავლესობა თანატოლებისა და უფროსებისაც, მამტყუნებდა, არ უნდა „გეჩივლაო“, ის ძროხები იმ ოჯახის მარჩენალები არიანო. არ მესმის, ამიტომ ქალაქის ქუჩებში ნარგავები უნდა გადახრან და დააბინძურონ გარემო!? ამისათვის ნახირი არსებობს და საქონლის ყველა მეპატრონემ უნდა ისარგებლოს. ყველას უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი და ვიზრუნოთ მასზე. მე, გულწრფელად გეტყვით, ვოცნებობ, მომეცეს საშუალება ქალაქის დასუფთავებაში მეეზოვედ ვიმუშაო. არცრანაირად არ მეთაკილება, პირიქით, ეს მე გამაბედნიერებს, ვემსახურო ჩემს ხალხს და ქალაქს. სხვაც ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო, მაგრამ ამის საშუალება ერთ საგაზეთო წერილში ჩავტიოთ ჩემი ფიქრები, ცხოვრების წესი და ოცნებები, არ არის. ერთი რამ კი ნამდვილად მჯერა, აუსრულებელი ოცნება არ არსებობს. მაგალითად, რამდენი ხანია კარატეზე სიარული მინდა, ოჯახი უარზეა და არ მიშვებებენ, მაგრამ ერთხელაც იქნება, საბრძოლო ხელოვნებას მაინც დავეუფლები.

- სოფიო, ვერც მე ვხედავ მაგ სურვილში რაიმე ცუდს, გოგო რომ ხარ, ეს ბარიერი არ არის. ახლა ჩვენი შეხვედრის მთავარ თემაზე გადავიდეთ, მომიყევი „ახალგაზრდული იდეის“ და შენი საქმიანობის შესახებ.

- ორი წელია, ამ პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრი ვარ. ამ ხნის მანძილზე ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა, რომელიც ჩვენი ქალაქის და სოფლების პრობლემების მოგვარებას ითვალისწინებდა. წლის ბოლოს აქტიურობის, დატრენინგების ხარისხის და ინგლისური ენის ცოდნის მიხედვით, როგორც წარმატებული ჯგუფის წევრები, მე და ზურაბ გოგოშვილი გამოგვარჩიეს. ჩვენ გავემგზავრეთ ბოსნიაში. ეს იყო დაუვიწყარი დღეები აღსავსე სიხარულით, ახლის შეცნობით და გამოცდილების მიღებით. ორი დღე სტამბოლში გავჩერდით. ულამაზესი ქალაქია, მრავლად არის ქუჩები, სადაც მანქანები არ დადიან, მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვისაა განკუთვნილი. ეს ძალიან მომწონს. ვნახეთ არაჩვეულებრივი მეჩეთები, თავისი პომპეზურობით და სიმდიდრით, ვიცხოვრეთ სასტუმროში, რომელიც მსოფლიოს ათეულში შედის, არსებობის 150 წელს ითვლის და ნაწილობრივ სამუზეუმოა. იშვიათი კომფორტი და სილამაზე იყო. თურქეთში ერთ რამეზე დავფიქრდი: ქალები ჩადრს ატარებენ და სულ შავებში არიან ჩაცმულნი (სხვათა შორის, ძალიან მინდა, ჩადრით ვიარო, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანი მისი გარეგნობით კი არ უნდა ახდენდეს ეფექტს და ფასდებოდეს, არამედ განათლებითა და სულიერებით. ესეც მომავლის ოცნებაა, ვნახოთ), ხოლო მამაკაცები- თეთრებში. ვფიქრობ, ეს დისკრიმინაციულ ელემენტებს შეიცავს. და ერთიც, ძალიან მსიამოვნებდა, როცა „გურჯს“ მეძახდნენ. ჩვენი 18 კაციანი ჯგუფი, რომელშიც 10 აფხაზი იყო, ბოსნიის ათკაციან ჯგუფს მის დედაქალაქ სარაევოში შეუერთდა. იქაც, რა თქმა უნდა, უამრავი საინტერესო რამ ვნახეთ, მუზეუმები, ქრისტიანული ტაძრები, ებრაული სინაგოგები, მეჩეთები (70% მოსახლეობისა მუსულმანები არიან). ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც შეკრების მთავარი მიზანი იყო - ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „კულტურათაშორისი ურთიერთობის მნიშვნელობა“. ამ კონფერენციამ ჩვენ ბევრი რამ მოგვცა. კმაყოფილი ვარ, რადგან ბევრი მეგობარი შევიძინე, გამოვარჩევ გალელებს, რომლებიც სოხუმელი აფხაზებისაგან განსხვავებით, უფრო გახსნილები და უშუალოები იყვნენ. მათთან ურთიერთობას ვაგრძელებ და მომავალშიც გავაგრძელებ. ეს იმ დიდი ყინულის პაწაწინა ნამსხვრევის ლღობაა, რომელიც ჩვენს შორის აღმართულა და რომლის გალღობისთვისაც ყველამ უნდა ჩვენი წვლილი გავიღოთ. ჩვენ ერთი ოჯახის შვილები ვართ და მას საქართველო ჰქვია! მე დავამთავრე საჯარო სკოლა, ამიტომ, საინიციატივო ჯგუფს დავტოვებ, მაგრამ კონტაქტს არ გავწყვეტ. „ახალგაზრდულმა იდეამ“ მე ბევრი რამ შემძინა, ჩამომაყალიბა, როგორც მოქალაქე, პიროვნება, პრაქტიკულად მასწავლა ცხოვრება. მადლობელი ვარ ჩემს გვერდზე ამ პროექტში მყოფი მეგობრებისაც და ტრენერებისაც, რომლებმაც ბევრი რამ გვასწავლეს.

წლების მანძილზე გაზეთი „შირაქი“ აქტიურად ადევნებდა თვალს „ახალგაზრდული იდეის“ საქმიანობას და აშუქებდა მას. მათ შორის სოფიო ჯეთირიშვილიც ხშირად იყო ჩვენი რესპოდენტი და ყოველთვის გამოირჩეოდა გონივრული კომენტარებით. სხვათა შორის, „სოფიო“ ბერძნული სახელია და „სიბრძნეს“ ნიშნავს. მართლაც რომ, შეეფერება ეს სახელი სოფიო ჯეთირიშვილს. ის ახლა ცხოვრების სხვა ეტაპზე გადავიდა, წინ სტუდენტობის უბედნიერესი ხანაა, მჯერა, უნივერსიტეტშიც ისეთივე აქტიური იქნება, როგორიც სკოლაში და არ დაიშურებს ძალისხმევას, კვალიფიციური სპეციალისტი გახდეს.

ახლა კი ზურაბ გოგოშვილი გავიცნოთ: ის 17 წლისა, სულ რაღაც ერთ თვეში გახდება, XI კლასში გადავიდა. 9 კლასი წარმატებით დაამთავრა და პრეზიდენტის საჩუქარი-ლეპტოპიც მოიპოვა. – რაც ეს საჩუქარი დაწესდა, ის ჩემი მასტიმულირებელი გახდა და მიზანს მივაღწიე, ძალიან გამეხარდაო, - ამბობს და იმასაც არ ფარავს, რომ სასწავლო პროგრამის გარდა, მისი ინფორმაციის და განვითარების ძირითადი წყარო კომპიუტერია.

- შეგნებულად მესმის, რომ წიგნის ხიბლი სულ სხვა არის. ამის მაგალითს ჩემი და, მარიამ გოგოშვილი მაძლევს. მან რამდენიმე წლის წინ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და მხატვრულ ლიტერატურას ინტენსიურად კითხულობდა, მეც სულ მირჩევს, წიგნს დავუმეგობრდე, მაგრამ, ვაღიარებ, ზარმაცი ვარ და არ მყოფნის ნებისყოფა (ჯერჯერობით), წიგნის კითხვას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კომპიუტერით ინფორმაციის მოპოვებას. ვიცი, ერთხელაც ვინანებ და, ალბათ, გამოვსწორდები,- გულწრფელად ამბობს ზურაბი და დამნაშავის ღიმილით იღიმება.

8 წლის იყო, სტიქარი რომ ჩაიცვა.

- ჩემი ოჯახის წევრები და ახლობლები ეკლესიურები არიან და მეც პატარაობიდანვე ხშირად დავყავდი წირვა-ლოცვებზე, მაზიარებდნენ და ლოცვებს მასწავლიდნენ. ეკლესია ჩემთვის ძალიან საყვარელი ადგილი გახდა, მაგრამ პასიურად მრევლში დგომა არ მაკმაყოფილებდა, მაინტერესებდა, რა ხდებოდა იქ, სადაც ჩვენ არ გვიშვებდნენ. მინდოდა, პრივილეგირებული ვყოფილიყავი და მეც მომეპოვებინა საკურთხეველში შესვლის უფლება. ამიტომ, მამა ნიკოლოზთან მივედი და ვუთხარი, სტიქაროსნობა მინდა-მეთქი. აღდგომა მოდიოდა და შემპირდა: ამ დიდ დღესასწაულზე გაკურთხებო. დედამ რომ გაიგო, ძალიან შეშინდა, პატარა ხარ, გაგიჭირდება, გადაიფიქრეო, მაგრამ მე ჩემს აზრზე ვიდექი. აღდგომას უკვე სტიქარი მეცვა და, მეცხრე წელია, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე ამ გარემოში, სადაც თავს ბედნიერად და მშვიდად ვგრძნობ.

- „ახალგაზრდულ იდეაში“ როდის გაერთიანდი და რატომ?

- ერთი წელი დავხურე, რაც ამ პროექტის საინიციატივო ჯგუფის წევრი ვარ. შორიდან ვიცოდი მათი საქმიანობის შესახებ და როცა თბილისის ოფისიდან ჩამოვიდნენ, შესარჩევ ტურში მეც მივიღე მონაწილეობა, შევავსე სივი, გავიარე გასაუბრება და შემარჩიეს. ფინანსური მენეჯერის მოვალეობა დამეკისრა. გავიარე ტრენინგები, იქ მიღებულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში ვიყენებდი, რამაც ბევრი რამ მასწავლა, გამოცდილება შემძინა. ფაქტიურად, იგივე პროცედურებს გავდივართ, რასაც დიდი საწარმოები და ფირმები, მხოლოდ მცირე მასშტაბით. კმაყოფილი ვარ, რომ ამ ასაკში ასეთ სერიოზულ საკითხებში ჩავიხედე და გავერკვიე. ჩვენ ბევრს ვმსჯელობთ, ვფიქრობთ იმ პრობლემებზე, რაც ჩვენს გარშემო არსებობს, ვეძებთ გამოსავლის გზებს, ეს ძალიან მომწონს.

- ახლა კი ბოსნიაში მიღებულ შთაბეჭდილებებზე მომიყევი.

- ეს დაუვიწყარი დღეები იყო. სტამბოლშიც გავჩერდით ორი დღე, ოთხი დღე კი სარაევოში გავატარეთ. ტრენინგები ინგლისურ ენაზე ტარდებოდა და ერთ კვირაში ჩემი ინგლისურის ცოდნა გაორმაგდა. შევიძინე ბევრი მეგობარი, მათ შორის აფხაზები. გალელი მეგობრები ფეისბუქით ახლაც ხშირად მეკონტაქტებიან. ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ და მოვისმინეთ. ძალიან განათლებული ტრენერები გვყავდა. ტრენინგების თემა ლიდერობას და სტერეოტიპებს ეხებოდა. ეს ბედნიერი დღეები სამუდამოდ მემახსოვრება.

- გააგრძელებ „ახალგაზრდულ იდეაში“ საქმიანობას?

- აუცილებლად.

- წარმატებებს ვუსურვებ თქვენს გუნდს.

- გმადლობთ.

ნაირა გორაშვილი

ცხოვრების გზაზე ბევრი ღირსეული პედაგოგი მყავდა, რომლებსაც პატივს ვცემ



აგვისტოს ბოლო დადგა და აი, ერთ მშვენიერ დღეს, სოციალური სივრცე აივსო პოზიტიური ახალი ამბებით უმაღლეს სასწავლებელში მოწყობასთან დაკავშირებით: მშობლები, პედაგოგები, თავად უკვე ახლადშემდგარი სტუდენტები, -ყოველი მეორე იტყობინებოდა თავის ემოციებს და სიხარულს, იმის თაობაზე, თუ სად და რამდენ ქულიანი დაფინანსებით ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში. პირველი მერცხლები, რა თქმა უნდა, ისინი აღმოჩნდნენ, ვინც ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი შეფასება მიიღო და ძველებური გამონათქვამის მიხედვით, უფასოზე, ხოლო თანამედროვე ტერმინით, 100% გრანტით მოხვდნენ უმაღლესში. ვინ სად და როგორ, ვის რამდენქულიანი დაფინანსება და რა შანსები მიეცა, ამის შესახებ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ქალბატონ ეთერ დავითაშვილს ვკითხეთ. ჯერ-ჯერობით დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაზუსტებული მონაცემები არ აქვს, რადგან დირექტორთა თათბირი მომავალ კვირაშია დაგეგმილი. გაზეთი „შირაქი“ ყველა ჩვენი რაიონის მკვიდრს ულოცავს სტუდენტობას და ახალი ცხოვრების დაწყებას. ზუსტი ინფორმაციის მოპოვებამდე კი, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე ლაშა პაპუაშვილი 100%-იანი გრანტით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა. გთავაზობთ ინტერვიუს ლაშასთან.

-ლაშა, გილოცავთ და მოგვიყევით, როგორ მოხდა თქვენი პროფესიის არჩევა და რა შრომის საფასურად მიაღწიეთ იმ შედეგს, რომ 100% იანი გრანტით ჩაირიცხეთ უმაღლეს სასწავლებელში?

-ჩემი აზრით, მთავარი სურვილი, მიზანი და ამ მიზნისკენ სწრაფვაა. პროფესია წლის დასაწყისშივე ავირჩიე და ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

- იქნებ მოყვეთ თქვენს მიერ განვლილი ცხოვრება, ანუ დაბადებიდან დღემდე, საინტერესოა, რა გახდა თქვენი მიზანსწრაფული ბუნების საფუძველი?

- დედოფლისყაროში დავიბადე და გავიზარდე. დავამთავრე პირველი საჯარო სკოლა. რაც შეეხება მიზანსწრაფულობას, ვფიქრობ, ეს ადამიანის ბუნებრივი ინსტიქტია და ყველა უნდა ისწრაფვოდეს დასახული მიზნისკენ.

- მაინტერესებს, თქვენი აზრი დღევანდელი განათლების სისტემის შესახებ, სკოლაში პედაგოგის მიერ მოსწავლისთვის მიწვდილი ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია, იმისთვის, რომ მან ეროვნული გამოცდები თავისუფლად ჩააბაროს? თუ ეს ასეა, მაშინ რატომ დადის ამდენი ბავშვი რეპეტიტორებთან?

-რა თქმა უნდა, სკოლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის განათლებაში, მაგრამ, ხშირად მხოლოდ სკოლაში მიღებული განათლება არაა საკმარისი, რომ კარგად ჩააბარო ეროვნული გამოცდები და მოსწავლე იძულებულია რეპეტიტორთან გაიღრმავოს ცოდნა. სამწუხაროდ, ყველას არ აქვს საშუალება კერძო მასწავლებელთან სიარულის, ამიტომ ამ კუთხით რაღაც უნდა შეიცვალოს და გამოსწორდეს.

- თუ ცალკეული ინდივიდის კერძო ინტერესები არ ემთხვევა საერთო საკაცობრიო ინტერესებს, ამაში თქვენ ხედავთ თუ არა პრობლემას? ანუ განსხვავებული აზრების არსებობა დასაშვებია თუ არა თქვენთვის?

-ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და სწორედ ესაა მისი ღირსება. განსხვავებული აზრის არსებობა შობს ახალ იდეებს, იდეებს, რომელთაც მსოფლიოს შეცვლა შეუძლიათ.

-თქვენ საკმაოდ განათლებული დედის და მამის შვილი ხართ, საუკეთესო და წარმატებული დედმამიშვილების ძმა, რაც საკმაოდ მაღალ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. საინტერესოა, ოჯახში არსებობდა თქვენში მამათა და შვილთა აზრის ჭიდილი? იყო თქვენსა და მამას შორის ჯანსაღი აზრთა სხვადასხვაობა როდისმე?

-როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და, რა თქმა უნდა, არც ჩემი და მშობლების აზრები ემთხვეოდა ყოველთვის ერთმანეთს, თუმცა, ამას რაიმე სახის კამათი არასდროს გამოუწვევია.

- არსებობს ასეთი ფრაზა, „ზნეობა ორი მოჩვენებითი სიდიდეა, მოვალეობა და სურვილი", მაინტერესებს თქვენი აზრი ადამიანის ზნეობასთან დაკავშირებით, როგორ ადამიანს მიიჩნევთ ზნეობრივ ადამიანად.

- ზნეობრიობა რა თქმა უნდა არ უნდა იყოს მოვალეობა და მოჩვენებითობა. ეს ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა. კეთილი, მიმნდობი, ღირსეული- ალბათ სწორად ასეთი პიროვნებაა მაღალზნეობრივი.

-რა ღირებულებებით აღიზარდე თავად და რა იყო შენს ცხოვრებაში ის ძირითადი ნიშა, რითაც ბეჯითი და განათლების მიღებისკენ მიდრეკილი გახდი?

- ჩემი მშობლები ყოველთვის ცდილობდნენ დაენახვებინათ, თუ რა იყო სწორი ჩემთვის და, რა - არა. დროთა განმავლობაში ყველა საკითხზე ჩემეული შეხედულებები ჩამომიყალიბდა. ყოველთვის ვიცი, რა არის ჩემთვის უკეთესი და ვცდილობ, სწორად მოვიქცე.

-არსებობს შენში წინასწარი გათვლა, თუ როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი ?

-ჯერჯერობით მხოლოდ ახლო მომავალზე ვფიქრობ და არ ვიცი, შემდგომში რა იქნება.

- შენ და ეკლესიურობა, ვიცი, რომ ერთი ლოცვა და წირვაც არ გაგიცდენია აბიტურიენტობის დროსაც.

- აბიტურიენტობა ტაძარში სიარულში ხელს ვერ შეგიშლის. ჩემი რწმენა ყოველთვის მაძლიერებდა. ღვთის შეწევნით და მეოხებით მივაღწიე დასახულ მიზანს.

-არსებობს თუ არა რაიმე, რაზეც გული გწყდება?

- არის რაღაცები, რაზეც გული მწყდება და ვნანობ, მაგრამ წარსულზე არასდროს ვფიქრობ და ყოველთვის წინ ვიყურები.

- რატომ მოხდა, რომ თქვენ ოქროს მედალი ვერ აიღეთ, არადა ბევრ ოქროს მედალოსანს აჯობეთ?

- ოქროს მედლის აღება ჩემთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. მის მოსაპოვებლად არ მიბრძოლია. დანარჩენის შეფასება თქვენთვის მომინდვია.

- რომელ მასწავლებლებს მიიჩნევთ ღირსეულ პედაგოგებად თქვენი პედაგოგებიდან?

- ბევრი ღირსეული პედაგოგი მყავდა როგორც სკოლაში, ასევე რეპეტიტორები. მინდა გამოვყო ქალბატონი ეთერ ალადაშვილი, ბელა ლაპიაშვილი, ნუნუ ცაკაშვილი, ნელი საბიაშვილი, მარინა შანშიაშვილი. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემს წარმატებაში.

-მინდა წარმატებები გისურვო ლაშა, რატომღაც მგონია, რომ შენ საუკეთესო დიპლომატი იქნები, რომელიც საუკეთესოდ დაიცავს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე და ჩვენი ქვეყნის სახელს შორს გაიტანს. წარმატებები და ჭკვიანური ნაბიჯები მისურვებია ,ჩვენო სანიმუშო ახალგაზრდავ, მომავლის დიდ და რთულ გზაზე.

ლალი მეხრიშვილი

გარდა ბაღდათისა, გიგანტური ცხოველების ნაშთები სოფელ მეორე სვირშიც იპოვეს...

სენსაციური აღმოჩენის კვალდაკვალ

გასულ წელს გაზეთ "კვირის პალიტრის" მეშვეობით მთელმა საქართველომ შეიტყო უნიკალური აღმოჩენის ამბავი - ბიოლოგმა ნინო ბაზანოვამ ბაღდათში, ხანისწყლის ხეობაში, გიგანტური ცხოველების ნაშთები აღმოაჩინა. ეს დაედო საფუძვლად ბაღდათისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭებას.

კითხვა ბევრია, ვარაუდიც... ყველაფერს პასუხი მაშინ გაეცემა, როცა საქმეში მეცნიერთა ჯგუფი ჩაერთვება. ამ დრომდე მხოლოდ გეოლოგები სწავლობდნენ მასალებს... გარდა ბაღდათისა, გიგანტური ცხოველების ნაშთები სოფელ მეორე სვირშიც იპოვეს...

„კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი სტატიის შემდეგ ჩვენი მკითხველი დაუკავშირდა ნინო ბაზანოვას და სვირში მიიწვია. გამართლდა მისი ვარაუდი, იმერეთში მრავლად შეიძლება ზღვისა და ხმელეთის ცხოველების ნაშთების აღმოჩენა.

როგორც ირკვევა, იმერეთში უხსოვარ დროს ზღვა ყოფილა. ამ ვარაუდს ნინო ბაზანოვას უმყარებს სამი რელიეფი, ზღვის ცხოველების ნაშთები და მოლუსკები.



ვარაუდი ვარაუდად რომ არ დარჩეს, მალე მეცნიერთა ჯგუფი ჩაერთვება საქმეში.

განმარხებული ცხოველების ნაშთი აღმოაჩინა სოფელ მეორე სვირში მცხოვრებმა რეზო წაქაძემ, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენიმე კვირის წინ გარდაიცვალა.

ახალი აღმოჩენის შესახებ კვლავ ნინო ბაზანოვას დავუკავშირდით:

- "ბაღდათში, ხანისწყლის ხეობაში, კიდევ ერთი რამ აღმოვაჩინე - სამ მეტრამდე სიგრძის თევზის ნაშთი. პირვანდელი სახე კარგად აქვს შენარჩუნებული. იოლი მისახვედრია, რომ აღმოჩენილი ნაშთები რომელიმე ცხოველის ფორმის ქვა კი არა, ნამდვილად ცხოველებია.

ამას წინათ სოფელ წითელხევიდან დამიკავშირდნენ, მდინარე კორისწყალში უპოვიათ ანალოგიური მასალა. თუმცა, მეტად ეროზირებულია. რაც შეეხება სვირის აღმოჩენას, იქ აწ გარდაცვლილი რეზო წაქაძის მიწვევით ჩავედი. მისი ნაპოვნი დიდი კუს ნაშთი აღმოჩნდა.

დიდხანს ვერ მოვახერხეთ მდინარიდან სხვა მასალის ამოღება, როგორც კი წყალმა დაიკლო და მდინარემ კალაპოტი შეიცვალა, დავიწყეთ მოძიება. ვიპოვეთ მოლუსკ ნაუტილუსის, ზღვისა და ხმელეთის კუების ნაირსახეობანი.

სვირში აღმოჩენილია უიშვიათესი და უნიკალური ლეპიდოსირენიც, ორმაგად მსუნთქავი თევზი. მსგავსი სამხრეთ

კაროლინაშიც ნახეს ზღვის პირას. ამჟამად მას სანტა-ბარბარას უნივერსიტეტში იკვლევენ. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ჩაერთო ამ საქმეში და იმედია, ბევრი საინტერესო კვლევა ჩატარდება. არანაკლებ საინტერესო იქნება თერჯოლისა და ვანის შესწავლაც.

- ბაღდათის აღმოჩენის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ თუ გამოგეხმაურნენ სახელმწიფო ინსტიტუტები?

- 2016 წლის დეკემბერში წერილი მომივიდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან, რომ ჩემი აღმოჩენა ხანისწყლის ხეობაში ძალიან საინტერესოა გეოლოგიური და ტურისტული თვალსაზრისით.

როგორც გაირკვა, განცხადებას დანართად კიდევ 26 ფურცელი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჩემამდე მხოლოდ წერილი მოვიდა. მოვითხოვე ძირითადი მასალა, მაგრამ ჯერ არ მოუწვდიათ.

- არის თუ არა განსხვავება ბაღდათისა და სვირის მასალებს შორის?

- ბაღდათის მასალები მეტად ეროზირებულია, სვირისა უფრო მდგრადი. იქ აღმოჩენილ კუს ნაირსახეობებს¬ ბაკანი, თავი და თვალები შენარჩუნებული აქვთ.

სვირში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ახლოს, განმარხებული დიდი კუს ნაშთია, ხალხი მასზე ჩამომჯდარი ელოდება ტრანსპორტს. არ იციან, რა არის... დასანანია, რომ ამ გიგანტურ განმარხებულ მასალებს საყოფაცხოვრებოდ იყენებენ: სკამებად, ხრეშად და ა.შ. იქნებ მუნიციპალიტეტმა შემოლობოს და გამაფრთხილებელი ნიშანი დადგას, რომ არავინ არაფერი დააზიანოს.

გაგვიმართლა და გაქვავებული მოლუსკებიც ვიპოვე. მასალების შესასწავლად აუცილებელია მეცნიერთა ჯგუფის, სპეციალისტების ჩართვა. ველოდებით გამოხმაურებას. გეოლოგებმა თავიანთი სიტყვა უკვე თქვეს, ახლა ჯერი პალეონტოლოგებზეა.

უკვე რამდენიმე დღეა ქვეყანაში სადაზვერვო-დივერსიულ ხანძარს ვუყურებთ. ფაქტობრივად, საქართველოს ცეცხლი გაუხსნეს

საქართველო ბოლო პერიოდში ცეცხლის ალშია გახვეული - ჩვენი ქვეყანა ხანძარს ამჯერად აბასთუმანში ებრძვის. ბორჯომის ხეობიდან საგანგებო შტაბმა, მეხანძრე-მაშველებმა და ავიაციამ აბასთუმანში გადაინაცვლა. საქართველოში გახშირებულ ხანძრებთან დაკავშირებით ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად დივერსიაც დასახელდა. დივერსიაზე საუბარი ჯერ კიდევ ბორჯომის ხეობაში ხანძრის დროს, ტყეში 20-ლიტრიანი ბიდონისა და "მოლოტოვის კოქტეილის" მსგავსი ნივთის პოვნისას დაიწყო. თუ მანამდე ხანძრების გამომწვევ მიზეზად საქართველოში ტყეების მასობრივი ხმობა და დაუდევრობა სახელდებოდა, აღნიშნულის პოვნის შემდეგ სპეციალისტები დივერსიაზე ალაპარაკდნენ.

ბორჯომის ხეობის შემდეგ, საქართველო ახლა აბასთუმანში ებრძვის მასშტაბურ ხანძარს. ტყეში ცეცხლის კერა 29 აგვისტოს გაჩნდა. ადგილზე შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი სახანძრო-სამაშველო ჯგუფებთან ერთად მყისიერად ჩავიდა. ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში მოხალისეებიც მონაწილეობენ.

ხანძრის ჩაქრობას ცდილობს, როგორც ცოცხალი ძალა და ტექნიკა, ასევე ერთი ქართული ვერტმფრენი.

აბასთუმნის ტყეში გაჩენილი ხანძარი დასახლებული პუნქტიდან დაახლოებით 7-8 კილომეტრშია, აქედან გამომდინარე, ცეცხლის დასახლებულ პუნქტებში გავრცელების საფრთხე არ არსებობს.

გიორგი მღებრიშვილის თქმით, სრულ კოორდინაციაშია ყველა სახელმწიფო უწყება, ვისაც ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა ხელეწიფება.

"წუხელ მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა ცეცხლის ქრობის პროცესი. ცოცხალი ძალა რჩებოდა ადგილზე. დღეს დილიდან უკვე დამატებითი ძალები გაიგზავნა. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის - გაიჭრა დაახლოებით 4-დან 5 კილომეტრამდე ახალი გზა ტყეში იმისთვის, რომ სპეცტექნიკამ მოახერხოს და ხანძრის კერების ადგილამდე მივიდეს. ასევე მოწყობილი იქნა ხელოვნურად ავზები იმისთვის, რომ ავიაციამ მოახერხოს და აიღოს წყალი. ცოცხალი ძალა, როგორც გითხარით, მობილიზებულია. 1000 კაცამდე უკვე ტყეშია. ჩვენ ველოდებით დამატებით ვერტმფრენებს და ავიაციის ჩართვას - ერთი ვერტმფრენი უკვე

მუშაობს", - განაცხადა შს მინისტრმა.

აბასთუმანში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად საქართველოს უკრაინული მხარე დაეხმარება. უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს ოფიციალურ საიტზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში უკრაინული თვითმფრინავი ჩაერთვება, რაც, როგორც ირკვევა, უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის სატელეფონო საუბრისას გადაწყდა.

ეროვნული და კორპორაციული უსაფრთხოების სასწავლო კვლევითი ცენტრის დირექტორი დავით კუხალაშვილი საქართველოში გახშირევული ხანძრების მიზეზად დივერსიის მცდელობას ყველაზე რეალურად მიიჩნევს:

- ხანძრის სერიებზე რამდენიმე ვერსია მაქვს, თუმცა, ყველაზე რეალურად ცეცხლის კერების მიზანმიმართულად გაჩენა მიმაჩნია. ეს ხელს აძლევს ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც დაინტერესებული არიან ქვეყანაში დესტაბილიზაციით. საზოგადოდ, სპეცსამსახურები ხანძრების სერიას გეგმავენ მაშინ, როდესაც ობიექტ სახელმწიფოში სახანძრო უსაფრთხოების სისტემას შეისწავლიან - ანუ, თუ ვემხრობით ვერსიას, რომ დივერსია კონკრეტულ სახელმწიფოში დაიგეგმა.

- გარდა ხანძრის რამდენიმე ლოკაციისა, კიდევ რა გაძლევთ დივერსიის ვერსიის განვითარების საფუძველს?

- თუ მოქმედებების ჯაჭვს დავაკვირდებით, დიდი ალბათობით უკვე რამდენიმე დღეა ქვეყანაში სწორედ სადაზვერვო-დივერსიულ ხანძარს ვუყურებთ. ფაქტობრივად, საქართველოს ცეცხლი "გაუხსნეს". ხანძარი იყო გაფრთხილება, რომ ვიღაცას მარტივად შეუძლია საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა და მოქალაქეებისთვის განცდის გაჩენა, რომ ხელისუფლება მათ დაცვას ვერ ახერხებს - ასეთი განწყობების მობილიზება კი, როგორც წესი, იმისთვის არის გათვლილი, რომ საჭიროების შემთხვევაში გარე პირმა კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ რღვევასაც მიაღწიოს - ანუ უკმაყოფილება მასშტაბურ პროტესტში გადაზარდოს და არეულობის პროვოცირება სცადოს!

- ახლა კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებზე მიანიშნებთ, თუ ისევ გარე სახელმწიფოს

მიზნებზე?

- მე არც ერთ ვერსიას არ გამოვრიცხავ. არსებობს მეორე ვერსია - შესაძლებელია, ცოტა ხნის წინათ ბორჯომის ტყის ტერიტორიაზე ხეებს უკანონოდ ჭრიდნენ და კვალის წასაშლელად ვიღაცამ ხანძრის ინსპირირება სცადა. ხეტყეს კი არა, კვალის დაფარვის მიზნით სასაწყობე მეურნეობებს ანადგურებენ.

კიდევ ერთ ვერსიად დაუდევრობა შეგვიძლია ჩავთვალოთ - ვიღაცამ სიგარეტი გადააგდო ან ტყეში ისადილეს და კოცონის ნარჩენები კარგად არ ჩააქრეს. თუმცა, ეს ორი ვერსია არარეალურად მეჩვენება - ხანძარი ტყის ზედა ნაწილზე გაჩნდა, სადაც ადამიანები სასეირნოდ არ ადიან, თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხანძრის პირველი კერა უკვე ნახანძრალ ტერიტორიაზე გაჩნდა, ანუ ზუსტად იქ, სადაც 2008 წლის კვალი დღესაც თვალსაჩინოა - რუსეთის მიერ გაჩენილი ხანძრის დროს გადამწვარი ხეების ტერიტორიიდან გატანაზე არავის უზრუნია და ფერდობზე გამხმარი ხეები ეყარა. დივერსიის ვერსიას კიდევ ერთი ფაქტორი აძლიერებს - ბორჯომი ტურისტებით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ადგილია, ამიტომ ვინც ხანძარი გააჩინა, ისიც გათვალა, რომ ამით ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასაც მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. წარმოიდგინეთ, როდესაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქალაქე ისმენს, რომ ხანძრის ლიკვიდირება ერთი კვირის განმავლობაში ვერ ხერხდება, ესე იგი, ტერიტორია არ არის უსაფრთხო და მას საქართველოში ჩამოსვლის სურვილი უქრება. ესეც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების გეგმაზე მიანიშნებს, ანუ დიდი ალბათობით, საქმეში ჩართული იყო ეკონომიკური დაზვერვა, რომლის მიზანი ტურიზმის განვითარებისთვის ხელის შეშლაც იყო.

- ანუ, თუ სხვა სახელმწიფოში, და დიდი ალბათობით, რუსეთს გულისხმობთ, დივერსია მართლაც დაიგეგმა, ფიქრობთ, შედეგებიდან გამომდინარე მიზანი მიღწეულია?

- მიზანი მიღწეულია - გადახედეთ სოციალურ ქსელებს და საზოგადოების ნეგატიურ განწყობას ხელისუფლების მიმართ. ამას ნეგატიური ეკონომიკური შედეგი ექნება, ბორჯომში ტურისტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

* * *

ხანძრების პარალელურად, საქართველოს ტყეებს ბრაკონიერებიც ებრძვიან.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, ბოლო დღეებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხე-ტყის უკანონო ჭრისა და ტრანსპორტირების 35 ფაქტი გამოვლინდა.

როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში აცხადებენ, მიუხედავად მთელი საქართველოს მასშტაბით, ტყეებში გაჩენილი ხანძრის კერების სალიკვიდაციო სამუშაოებისა, მოქალაქეების გარკვეული ნაწილი ხე-ტყის უკანონო ჭრას მაინც აგრძელებს.

"იმის ფონზე, როცა მთელი საქართველოს მასშტაბით, ტყეებში გაჩენილი ხანძრის კერების სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს და სტიქიასთან ბრძოლა ყველა არსებული ადამიანური თუ ტექნიკური რესურსის გამოყენებითა და მეზობელი ქვეყნების დახმარებით ხდება, მოქალაქეების გარკვეული ნაწილი ხე-ტყის უკანონო ჭრას მაინც აგრძელებს.

19-31 აგვისტოს მონაცემებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხე-ტყის უკანონო მოპოვების, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების 35 ფაქტი გამოვლინდა.

ჯამში, ამოღებულია უკანონოდ მოპოვებული 123 მ3 პირველადი გადამუშავების პროდუქტი - ფიცარი, 23 მ3 მრგვალი ხე-ტყე (მორი) და 7 მ3 საშეშე მერქანი. ამავე პერიოდში ამოღებულია და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოშია გადატანილი 6 ერთეული დაურეგისტრირებელი სახერხი დანადგარი, ე.წ. ლენტური ტიპის დაზგა",-ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ირაკლი სესიაშვილი – მიუხედავად იმისა, რომ კრიზისების მართვის საბჭო ბრიტანული „კობრას“ ანალოგია, შესაძლოა მისი ტრანსფორმირება მოვახდინოთ იმ გამოწვევების კვალდაკვალ, რაც ქვეყნის წინაშეა

დღის წესრიგში დგას სისტემური რეფორმა იმდენად, რამდენადაც, ამ ხანძრებმა ჩვენ დაგვანახეს, რომ საჭიროა, შესაბამისი სისტემები გამოწვევებთან და პრობლემებთან თანხვედრაში მოვიყვანოთ, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა პრემიერ - მინისტრის დღევანდელ განცხადებაზე კომენტირებისას განუცხადა.

ირაკლი სესიაშვილი კრიზისების მართვის საბჭოსთან მიმართებაში არსებულ კრიტიკას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ოპონენტები უბრალოდ, ვერ ერკვევიან ამ სისტემის მნიშვნელობაში და ამიტომ აკეთებენ არაპროფესიონალურ და არაკვალიფიციურ განცხადებებს.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კრიზისების მართვის საბჭო ბრიტანული „კობრას“ ანალოგია, შესაძლოა საბჭოს ტრანსფორმირება მოხდეს იმ გამოწვევების კვალდაკვალ, რაც აქტუალურია საქართველოს წინაშე.

„კრიზისების მართვის საბჭო შეიქმნა ჩვენი ბრიტანელი კოლეგების დახმარებით და „კობრას“ ანალოგით. საბჭო არის არა ტაქტიკური გამოყენების ინსტიტუტი, არამედ ეს არის საკოორდინაციო მექანიზმი. საბჭოს არანაირი ტექნიკა, აღჭურვილობა ან მსგავსი ტიპის საშუალებები არ გააჩნია. რაც შეეხება პროცესში მისი ჩართულობის პერიოდს, არაკვალიფიციურად იქნა გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები. აქაც არსებობს საერთაშორისო დონის სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავს კრიზისების დონეებს და კრიზისების მართვის საბჭო, როგორც საკოორდინაციო ორგანო ერთვება მხოლოდ მაშინ, როცა ეროვნული დონის რისკები წარმოიშვება.

მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ეყო ძალები, რომ დამოუკიდებლად გამკლავებოდა ხანძარს, მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა კრიზისების მართვის საბჭოს ჩართვა, რომელმაც იმუშავა შტაბურ რეჟიმში და პრემიერ - მინისტრის ხელმძღვანელობით უფრო მაღალი დონის შტაბი შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საბჭო არის ბრიტანული „კობრას“ ანალოგი, შესაძლოა ამ საბჭოს ტრანსფორმირება მოვახდინოთ იმ გამოწვევების კვალდაკვალ, რაც ჩვენი ქვეყნის წინაშე აქტუალურია“, - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

კოკსაკის ვირუსის შემთხვევები საქართველოში – რა უნდა იცოდეთ ინფექციის შესახებ და როგორ დაიცვათ თავი

საქართველოში ენტეროვირუსული ინფექცია კოკსაკის ვირუსის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი პაატა იმნაძე აცხადებს, შემთხვევების კონკრეტულ რაოდენობაზე საუბარი რთულია, რადგან მისი აღრიცხვა არ ხდება.

მისი თქმით, კოკსაკის შემთხვევების გამოვლენას, ძირითადად მაისიდან ივლისამდე ჰქონდა ადგილი.

„ვირუსი კოკსაკი მთელ მსოფლიოში და მით უმეტეს, საქართველოსნაირი კლიმატის ქვეყნებში ხშირად ფიქსირდება. გამომდინარე აქედან, რამდენიმე შემთხვევა ყოველთვის არის ხოლმე საქართველოში. ვირუსი იმდენად მსუბუქია, არ აღირიცხება ცალკ-ცალკე თუ არ არის აფეთქება. აფეთქება კი არა გვაქვს. ჩვენთან ძირითადად დაფიქსირდა მაის-ივლისში, ახლა თითო-ოროლა შემთხვევაა“, - განაცხადა პაატა იმნაძემ.

რა არის კოკსაკის ვირუსი?

კოკსაკის ვირუსის იდენტიფიცირება მოხდა ნიუიორკის შტატის ქალაქ კოკსაკში, საიდანაც მოდის მისი სახელწოდება. დაავადების ერთადერთი წყაროა დაავადებული ან ვირუსმტარებელი ადამიანი. გადაცემის მექანიზმია ფეკალურ-ორალური, საყოფაცხოვრებო ან ჰაერ-წვეთოვანი. დაბინძურებული შეიძლება იყოს საცურაო აუზის წყალი, სათამაშოები, საყოფაცხოვრებო საგნები, ქვიშის სათამაშო მოედნები და ა.შ. ინკუბაციური პერიოდია 3-დან 6 დღემდე.

ენტეროვირუსული ინფექციების კლინიკური გამოვლინებები მრავალფეროვანია- უსიმპტომო მიმდინარეობიდან იშვიათად მძიმე (მენინგიტი, კარდიტი, ართრიტი, მენინგოენცეფალიტი) დაავადებებამდე.

კოკსაკის ვირუსი კლინიკურად შეიძლება გამოვლინდეს:

- არასპეციფიკური ენტეროვირუსული ცხელებით 38.5-40°C-მდე, გაღიზიანებადობით, თავის ტკივილით, ღებინებით, საერთო სისუსტით, ანორექსიით, ადინამიით
- ხელ-ფეხ-პირის დაავადება - ვეზიკულურ - წვრილბუშტუკოვანი გამონაყარი ფეხის, ხელის გულებზე და პირის ირგვლივ
- ჰერპანგინა- ე.წ. ენტეროვირუსული ვეზიკულური ფარინგიტი, რომელიც ხშირად ეშლებათ ბაქტერიულ ანგინაში
- ენტეროვირუსული სტომატიტი
- ენტეროვირუსული ეგზანთემა-ლაქოვან პაპულოზური გამონაყარი კანზე
- ჰემორაგიული კონიუქტივიტი

დაავადების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პირადი ჰიგიენური ნორმების დაცვა:

- ხშირად დაიბანეთ ხელები საკვების მიღების წინ, ჰიგიენური პროცედურების შემდეგ და

სეირნობიდან დაბრუნებისთანავე
- სასმელად გამოიყენეთ ბუტილირებული ან ადუღებული წყალი (თუ არ არის ინფორმაცია სასმელი წყლის ვარგისიანობის შესახებ)
- არ გამოიყენოთ მშრალი ყინული ბავშვებში წყლის ან გაზირებული სასმელის გასაგრილებლად
- დაიცავით საკვების შენახვის ტემპერატურული პირობები. მიირთვით მხოლოდ ისეთი პროდუქტები, რომელთა შენახვის ვადაც ცნობილია
- **საკვებად არ გამოიყენოთ**
- მაღალ ტემპერატურაზე დიდხანს დასაწყობებული ხილი (მათ შორის საზამთრო, ნესვი)
- საგულდაგულოდ გარეცხეთ ხილი, კენკრა, ბოსტნეული და ბაღჩეული
- ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დასტაბილირებამდე შეზღუდეთ ბავშვების ისეთ აუზებში შესვლა, რომლებშიც არ არის დაცული სანიტარული ნორმები, ქვიშის მოედნებზე თამაში. აუზში შესვლისას, განსაკუთრებით 5 წლამდე ასაკის ბავშვებს მაქსიმალურად ყურადღება მიაქციეთ, არ გადაყლაპონ დაბინძურებული წყალი.

გამოიყენეთ ერთჯერადი პირადი მოხმარების საგნები (ხელსახოცები, ცხვირსახოცები და ა.შ.) და მოხმარებისთანავე ისინი მოათავსეთ დახურულ ნაგვის ყუთებში.

სიღნაღში მიუსაფარი ძაღლების მომვლელი სცემეს

სიღნაღში, გამგეობის შენობის წინ 42 წლის მატილდა მირზოევა სცემეს. მას სხეულის სხვადასხვა დაზიანებები აქვს მიღებული. როგორც მირზოევამ მედია საშუალებებთან განაცხადა, საღამოს, დაახლოებით 20:00 საათისთვის, ქალაქის ცენტრიდან მიუსაფარი ძაღლის სახლში წაყვანას ცდილობდა, რა დროსაც მას თავს დაესხა 22 წლის ახალგაზრდა მამაკაცი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

„7 წელია, რაც უპატრონო ძაღლებს ვუვლი. ერთი ასაკოვანი ძაღლი გვყავს. გვიან საღამოს რომ მოვიკითხე, სახლში არ იყო. დედამ მითხრა, გარეთ კვადროციკლებით დარბიან და ვინმემ არ დაარტყას, ნახე და შემოიყვანეო. როცა გავედი, ვნახე, რომ სკვერში იყო. სახლში მომყავდა, ვამხნევებდი, რომ გამომყოლოდა. 17 წლის არის და სიარული უჭირს. ვიღაც ახალგაზრდა ბიჭმა გინება დამიწყო. მოვუწოდე, რომ გინება შეეწყვიტა და გზა გავაგრძელე. უფრო გაღიზიანდა. უცენზურო სიტყვებით ხმამაღლა მაგინებდა. რას დასდევ ამ ძაღლებს, მეტი საქმე არ გაქვსო და გინებას აგრძელებდა. პასუხი რომ გავეცი, მომვარდა და სახეში, თავში, ხელებში ცემა დამიწყო. სისხლი რომ წამსკდა, მერე შემეშვა. ჩემი 11 წლის შვილიც იქ იყო და ის მივარდა, დედას ხელი გაუშვიო“, – ამბობს მატილდა მირზოევა.

ახალგაზრდა სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის თბილისიდან სიღნაღში ნათესავებთან დასასვენებლად იმყოფება.

პოლიციამ მომხდარის მოკვლევა უკვე დაიწყო.

წინააღმდეგობა – ბენზოხერხით

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტი გამოავლინეს. მოქალაქე სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ჭალის მუხის სახეობის ხეებს ბენზოხერხის გამოყენებით უკანონოდ ჭრიდა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც მოქალაქეს ხე-ტყის მოპოვების სათანადო დოკუმენტაცია მოსთხოვეს, მოქალაქემ ჩართული ბენზოხერხის საშუალებით მათ წინააღმდეგობა გაუწია, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და არ დაემორჩილა ხეების ჭრის შეჩერების მოთხოვნას.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია გამოიძახეს და სამართალდამრღვევი ლაგოდეხის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას გულისხმობს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოქალაქეს 2000 ლარიანი გირაო შეეფარდა და დარბაზიდან გათავისუფლდა. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლიდან დღემდე, ამ მოქალაქის მიმართ შედგენილია 17 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ხე-ტყის უკანონო ჭრასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. ჯარიმისა და გარემოზე მიყენებული ზიანის სახით, მას საერთო ჯამში 12 000 ლარი აქვს დაკისრებული.

მარინა და გურამ მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა გიორგანაშვილს მამის

შალვას

გარდაცვალების გამო.

ჯიმი,ლალი, ლია და გია ალუღიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ეკა გიორგანაშვილს მამის

შალვას

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მარიამ ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძრის მრევლი თანაგრძნობას უცხადებს ეკა გიორგანაშვილს მამის

შალვას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ შირაქის რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ეკა გიორგანაშვილს მამის

შალვას

გარდაცვალების გამო.

დალი, ნოდარ გივიშვილები, ნელი გონაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დოდო და გივი ლომიძეებს ბიძაშვილის

ნათელას

გარდაცვალების გამო.

ხ ს ო ვ ნ ა

ზურაბ ქავთარაძე

40 ტკივილიანი, ცრემლიანი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, ჩვენო ძვირფასო ზურაბ!

გვიმძიმს და გვტკივა უშენობა. შენი ოჯახი ცრემლში და შავშია გახვეული. ტირის სული, ტირის გული, ტირიან შენი პატარა შვილიშვილები. საათობით შვყურებთ შენს მომღიმარ სურათს და ვიხსენებთ შენს სითბოს, სიკეთეს, კაცურ კაცობას, შენს უბადლო იუმორს, რომელსაც უხვად აფრქვევდი გარშემომყოფებში.

შენი წასვლა თითქოს მთელს რაიონს დაეტყო, ზურა, თითქოს ყოველივე გადასხვაფერდა შენს გარეშე. შენ ხომ ეს სამყარო გიყვარდა, მუდამ ჰუმანურს და კაცთმოყვარეს ადამიანები და მათთან ურთიერთობა გილაღებდა სულს. მიუხედავად ყველაფრისა, კარგი კაცის სახელი დატოვე, შენ შენი ადამიანობით, სიკეთის სახელი დატოვე და ამით უკვდავყავი საკუთარი თავი. ყველა გაფასებდა, წრფელი და ხალისიანი იყავი, ამიტომაც ყველას დასწყვიტე გული და თვლიან, რომ შენი სახით ღირსეული მოქალაქე დააკლდა ჩვენს პატარა ქალაქს.

ჩვენო დიდო ტკივილო და მონატრებავ, სამყარო დაცარიელდა ჩვენთვის. ჯერ ისევ ბურანში ვართ და სიზმარში გვგონია თავი, იმდენად მოულოდნელი იყო შენი სიკვდილი.

ამაოდ ვაცეცებთ თვალებს, ყველგან შენი სახეა, შენი ღიმილია, შენი ხმაა, რომელიც ასე მოგვენატრა, ჩვენო ძვირფასო და სათაყვანებელო.

ივლისის თვის დადგომა ყოველთვის გაშინებდა, რადგანაც, რაც ცუდი გადაგხდენია, ყველა ამ თვეს უკავშირდება. გვეგონა ამჯერად გადავრჩით, მაგრამ 29 რიცხვი საბედისწერო აღმოჩნდა შენთვის, ხოლო ჩვენთვის მეხის დაცემას ჰგავდა შენთან განშორებისთვის ჩაგვეხედა თვალებში.

ვერც კი მოვასწარით გაგვეთავისებინა ის, რომ შენ დაგვტოვე და წახვედი. თუმცა, ვთვლით, რომ კი არ წახვედი, შენ მარადიულობაში გადაინაცვლე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია, გაგილამაზებთ სამარადჟამო სამყოფელს, აგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისთვის.

შენთვის მტირალი შენი ოჯახი.

ცვლილებები, რომელიც 1 სექტემბრიდან ამოქმედდება

1 სექტემბრიდან დრონებთან დაკავშირებით მარეგულირებელი ნორმები ამოქმედდება

მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან უპილოტო საჰაერო ხომალდების ღია კატეგორიაში ექსპლუატაციისა და საჰაერო ხომალდის მოდელის ოპერირების მარეგულირებელი ნორმები ამოქმედდება. ცვლილებების თანახმად, უპილოტო საჰაერო ხომალდების 400 ფუტზე მაღლა ექსპლუატაცია დაშვებული იქნება მხოლოდ სააგენტოს თანხობის საფუძველზე. ამასთან, სამოქალაქო ავიაციის საagენტოში უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციის, ასევე სპეციფიკურ კატეგორიაში ფრენის მოთხოვნები ძალაში 2017 წლის 1 ნოემბრიდან შევა. ხოლო უპილოტო საჰაერო ხომალდების სერტიფიცირების ნაწილი 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

1 სექტემბრიდან მიმოქცევაში განახლებული 5 ლარიანი ბანკნოტები ჩაეშვება

განახლებული 5-ლარიანი მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად. ბანკნოტზე შენარჩუნებულია თავდაპირველი თემატიკა: წინა მხარეს გამოსახულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის განსხვავებული პორტრეტი გაუმჯობესებული რელიეფურობის ხარისხითა და მოცულობით. ბანკნოტის უკანა მხარეს/რევერსზე გამოსახულია ნიკო ფიროსმანის ტილოები - "მეთევზე წითელ პერანგში" და "კალო", ასევე, საქართველოს სახელმწიფო გერბი. დიზაინის ავტორი ბაჩა მალაზონიაა.

1 სექტემბრიდან საქართველოში ლატარიას ახალი კომპანია ჩაატარებს

1 სექტემბერს „საქართველოს ლატარიის კომპანია" „ლოტო 6/36-ის ბოლო, რიგით 796-ე გათამაშებას ჩაატარებს. 1 სექტემბრიდან „საქართველოს ლატარიის კომპანია" საქმიანობას წყვეტს. რის შემდეგაც 2027 წლამდე საქართველოში ლატარიას შპს „ჯი ენ ელ" ჩაატარებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **1 სექტემბრიდან პოლიეთილენის პარკების გამოყენებაზე გარკვეული რეგულაციების ამოქმედებაც იგეგმებოდა.** კერძოდ, 1-ელი სექტემბრიდან 10 მიკრონზე ნაკლები სისქის პოლიეთილენის პარკების იმპორტი და წარმოება უნდა აკრძალულიყო.

თუმცა, როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში აცხადებენ, პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტის განხილვა და დამტკიცება ვერ მოასწრო. შესაბამისად ამ დროისთვის, უცნობია აღნიშნული აკრძალვა 1 სექტემბრის ნაცვლად როდიდან ამოქმედდება.

მამის შემდეგ "ოსკარისთვის" ქალიშვილიც იბრძოლებს – ანა ურუშაძის "საშიში დედა" წარმატებულ სვლას აგრძელებს

რეჟისორების, მსახიობების, პროდიუსერებისა და კინოკრიტიკოსებისგან შემდგარმა ცხრაკაციანმა ჟიურიმ გადაწყვეტილება უკვე მიიღო და საქართველო "ოსკარზე" ანა ურუშაძის სადებიუტო ფილმს "საშიში დედა" წარადგენს.

ამერიკის კინოაკადემიის მოთხოვნების გათვალისწინებით, "ოსკარზე" საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს 4 ქართული ფილმი იბრძოდა, ესენია: "ჩემი ბედნიერი ოჯახი" (რეჟისორები: ნანა ექვთიმიშვილი და სიმონ გროსი); "მძევლები" (რეჟისორი: რეზო გიგინეიშვილი); "საშიში დედა" (რეჟისორი: ანა ურუშაძე) და "ლუკა" (რეჟისორი: გიორგი ბარაბაძე).

წარმოდგენილი ოთხი სურათიდან გამარჯვებული ფილმი ფარული კენჭისყრით შეირჩა.

ანა ურუშაძის დებიუტი მართლაც რომ შთამბეჭდავი გამოდგა, მან არაერთ კინოფესტივალში უკვე მიიღო მონაწილეობა და წარმატებებსაც მიაღწია.

სულ ახლახანს "საშიში დედა" ლოკარნოს 70-ე საერთაშორისო კინოფესტივალის რჩეული გახდა საუკეთესო დებიუტის კატეგორიაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ახალგაზრდა რეჟისორის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, რომელიც მსოფლიო კინემატოგრაფისტთა ყურადღების ცენტრში უკვე მოექცა. კინოსურათი ქართულ-ესტონური პროექტია, რომლის სცენარიც ანას ეკუთვნის. ფილმი ქართველი დიასახლისის ცხოვრების ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც ასეთი არჩევანის წინაშე აღმოჩნდება: ოჯახი თუ მწერლობა.

ანა ცნობილი ქართველი რეჟისორის ზაზა ურუშაძის ქალიშვილია, რომლის ფილმი "მანდარინები" "ოსკარის" ნომინანტი" იყო და გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა.

„ყოველთვის ვბაძავდი მამაჩემს ყველაფერში და მინდოდა გამეკეთებინა ყველაფერი, რასაც აკეთებდა. ამიტომ თავიდანვე ჩაბეჭდილი მქონდა გონებაში, რომ რეჟისორი უნდა გავმხდარიყავი. ვგრძნობდი, რომ რაღაცნაირად სწორი იყო ეს გადაწყვეტილებაც და არ დამისვამს ჩემი თავისთვის ბევრი შეკითხვა", - ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ანა.

ფილმის მთავარი გმირის - მანანას როლს ცნობილი ქართველი მსახიობი ნატა მურვანიძე ასრულებს, ფილმში ასევე მონაწილეობენ: დიმიტრი ტატიშვილი, რამაზ იოსელიანი, ავთანდილ მახარაძე და ა.შ.

ფილმის პროდიუსერები საქართველოდან არიან ლაშა ხალვაში (სტუდია "არტიზმი"), თინათინ ყაჯრიშვილი (სტუდია "ჯემინი") და ივო ფელტი (Studio Allfilms) ესტონეთიდან.

შეგახსენებთ, ქვეყნის შიგნით შერჩეული კანდიდატი ფილმი ამერიკის კინოაკადემიას ეგზავნება, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან წარდგენილ ფილმებს შორის ჯერ ცხრა სურათს შეარჩევენ, საბოლოოდ კი "ოსკარის" უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე ხუთი ფილმი წარსდგება.

გაზეთი „შირაქი" ახალგაზრდა რეჟისორს და მის ნამუშევარს წარმატებას უსურვებს.

ულოცავენ!

მარინა გიგოლაშვილს! თენგიზ პოპიაშვილს!

გილოცავთ უმცროსი ქალიშვილის ნინო პოპიაშვილის და გოჩა ბედოიძის ქორწინებას. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და აკვანთა სიმრავლეს ვუსურვებთ ამ შესანიშნავ წყვილს. სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ეტარებინოთ მეუღლეობის უღელი. მართალია, ისინი თქვენგან შორს, პარიზში იცხოვრებენ, მაგრამ მშობლებისათვის ხომ მთავარი შვილების ბედნიერებაა. უფალი იყოს ყველა თქვენგანის შემწე და მეოხი.

ნანა ჭიჭინაძე, მარიკა, თამილა და თემურ პოპიაშვილები.

იყიდება!

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა ქ. დედოფლისწყაროში, რკინის კარით, ცივი და ცხელი წყლით, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი. ბინას აქვს ავტოფარეხი. გაყიდვის შემთხვევაში ბინაში რჩება გარკვეული ავეჯი. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: **რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 17.** ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის" მოპირდაპირედ.

☎ 591 80-35-13

იყიდება სამოსახლო მიწის ნაკვეთი ქალაქ დედოფლისწყაროში, მასზე განთავსებული სათავსოებით. მისამართი: 9აპრილის ქ. N81.

ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით

☎ 577 74 26 72, იკითხეთ ნელი.

იყიდება ოროთახნახევრიანი კუთხის ბინა მეხუთე სართულზე. აქვს ორი აივანი, სარდაფი, ავტოფარეხი წინ შემოღობილი გადახურული ადგილით, საღორე, საქათმე ეზოთი.

მისამართი: დედოფლისწყარო, თბილისის ქ.N21 (ბამის კორპუსი),

☎ 591 93 71 64.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.09	სამშაბათი 05.09	ოთხშაბათი 06.09	ხუთშაბათი 07.09	პარასკევი 08.09	შაბათი 09.09	კვირა 10.09
დღე	27 °	26 °	26 °	28 °	28 °	25 °	26 °
ღამე	26 °	25 °	25 °	27 °	27 °	24 °	25 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.